# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველ-დღიური გამოცემა. — კვირა, 29 ოქტომბერი 1900 წ. — № 1282

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
**ტელეფონი № 372.**



**წარსული წლების ჟურნალი**

## მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალ „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალ

## მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію грузинск. журнала „Моамбе“.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. ზიზინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღაინი—ყურისა, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სალოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

**ქართველთა ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში**

## მოწვეულია ახალი მკერავალი ქალი

**ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაზებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერავალი ქალი. (10—უ.—3)


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**27 ოქტომბერი**

**პარიჟი.** დეპუტატებს დაურიგდა „ყვითელი წიგნი“ ჩინეთის საქმეების შესახებ; წიგნში სულ 362 დოკუმენტია, რომლებიც შეიცავენ საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების ნოტებს. ესენი უკვე გამოქვეყნებულნი იყვნენ. წიგნში არის აგრეთვე პიშონის ანგარიში საელჩოების ბრძოლისა მეამბოხეთა წინააღმდეგ პეკინში. პიშონი ამბობს, რომ საელჩოები გადარჩნენ მხოლოდ საგანგებო გარემოებათა წყალობით, რომელთა ცოდნა წინდაწინ არც შეიძლებოდა. ამბოხების უმთავრეს დამნაშავედ პიშონი ასახელებს პრინც ტუანს, გენერალ ტუნფუზიანს და სახელმწიფოს მდივანს კან-ის.

**შანჰაი.** ჩინეთის მთავრობამ ფორმალურად აღუთქვა იანცეს ხეობის პროვინციების მმართველთ, რომ შანჰაის ტაოტაი არ იქნება სამსახურიდან გადაყენებული.

პაოტინფუში მომხდარ უწესოებაში დამნაშავე მანდარინები დახვრეტილ იქმნენ.

ჩინეთის გაზეთები ირწმუნებიან, რომ იმპერატორის სახლობას ეშინიან,—მოკავშირეები არ მოვიდნენ სინანფუშიო,—და ამიტომ ჯარები იგზავნება ჩჟანტენფუში, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ევროპიელთ, თუ საჭიროება მოითხოვსო.

**ლონდონი.** რობერტსი იტყობინება იოჰანესბურგიდან, რომ პოლკოვნიკი ლეგალიე უეცრად თავს დაესხა ბურებს 25 ოქტომბერს, ბოტავილიდან სამხრეთით, და სრულიად დაამარცხა ისინი. ინგლისელებს ხელში ჩაუვარდათ 6 ზარბაზანი მაქსიმეს სისტემისა მრავალის სამხედრო სურსათით. 100 ბური ტყვედ იქმნა წაყვანილი, 25 მოკლულია და 30 დაჭრილი. ინგლისელებს მოუკლეს 2 აფიცერი, მათ რიცხში პოლკოვნიკი ლეგალიეც და 8 ჯარის-კაცი; დაუჭრეს 7 ოფიცერი და 26 ჯარის-კაცი. პრეზიდენტი შტეინი და გენერალი დევეტი, რომელნიც ბრძოლის ველზედ იყვნენ, სიჩქარით წავიდნენ.

**ბლუმფონტეინი.** აქედან 12 მილის სიშორეზე ბურები თავს დაესხნენ ორ ფერმას და დაიპყრეს

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ მთავრობასთან დაახლოვებულ წრეებიდან იუწყებიან ლონდონიდან, ინგლისის მთავრობა თანახმაა იაპონიის მთავრობისაო ამის შესახებ, რომ პეკინში მყოფ უცხოელ ელჩებს მიეცეს სრული უფლება ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება იქონიონო. «ტანის» აზრით, საფიქრელია, რომ ყველა მთავრობა დაეთანხმება ამაში იაპონიის მთავრობასაო.

რაკი შეერთებული ჯარები მტკიცედ დამკვიდრდნენ პაოტინგ-ფუში, «ტაიმსის» კორესპონდენტის სიტყვით, აღარა უდგიარა წინ იმას, რომ ტაი-იან-ფუ დაჭერილი იქმნეს.

∝ როგორც კაუწყეთ მკითხველებს, საფრანგეთის კონსულმა პეკინში პიშონმა მოსთხოვა ლიხუნჩანგს—თუ გინდა მოლაპარაკება დავიწყოთ შვიდი კაცის თავი მოგვეციო, რომელნიც ბოქსერებს აქეზებდნენ უწესოების ჩადენაშიო: პრინცი ტუანის, პრინცი კუანგის, ტუნგფუს-სიანგის, იუ-ცმიენის, ლიუ-გუბი, კაო-სუ-ჩიაოსი და კანგისაო. «ტაიმსის» სიტყვით ყველას მოეწონა ასეთი მტკიცე და პირდაპირი მოთხოვნილება პიშონისა, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნიათ მისი სისრულეში მოყვანა, რადგან ეს პირები მეტად დაახლოვებულნი არიან მეფის სახლთან.

«დაილი ტელეგრაფის» სიტყვით კი, ლი-ხუნ-ჩანგს ბავშურის ხერხისათვის მიუმართავს. ჩინელები თურმე ამბობენ, რომ ლიხუნ-ჩანგს ამგვარის კრონაირის შინაარსიანის ეპისტოლეთი მიუმართავს ყველა წარმომადგენელთადმი გარდა ინგლისისა:

«მხოლოდ და მარტო თქვენს გულკეთილობაზედ არის დამყარებული ჩინეთის სასოება; სხვა სახელმწიფოთა განწყობილება გაურკვეველია».

«სტანდარდი»-ს სიტყვით-კი, ლიხუნ-ჩანგის ეპისტოლე შემდეგის შინაარსისაა:

«ჩინეთს იმედი აქვს თქვენის კეთილის შუამდგომლობისა. როგორც სჩანს, სხვა სახელმწიფონი არ არიან მეგობრულად განწყობილნი ჩინეთის მიმართ».

საიმპერატორო სასახლე დაწვრილებით დაათვალიერა ფელდმარშალმა ვალდერზეემ და გერმანიის ელჩმა მუმმა. ფელდმარშალს თან ახლდა საზღვაო ჯარი. ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ხალხზედ და შთაბეჭდილების სიძლიერე ორკეცდება იმით, რომ გავრცელდა ხმები, ვითომ ვალდერზეს ჰსურდეს ამხედრდეს მინგის დინასტიის სასაფლაოზედ. ევროპაში კი არ მოსწონთ ვალდერზეეს მოქმედება, როგორც გაზეთი «ტანი» ამბობს.

∝ «ტანი» გადმოგვცემს ევროპიელ სახელმწიფოთა და ჩინეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკების დასაწყისს და საჯაროდ მიაჩნია იგი. ჩუინმა და ლიხუნჩანგმა მოითხოვესო შემდეგი: 1) მოლაპარაკების შესახებ ლაპარაკი დაიწყონ. 2) იმ პირობით კი, რომ ყოველივე სამხედრო და მტრული მოქმედება მოსპობილ იქმნეს. 3) ყოველმა სახელმწიფომ კერძოდ თავის-თავად წარმოადგინოს თავისი მოთხოვნილებანი. გაზეთი დასძენს, რომ აქ ჩინელების ბოროტი განძვრობა სჩანსო. მათ სწადიანთ სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოაგდონ და ერთმანეთს დაუპირდაპირონ სხვა და სხვა წარმომადგენელთა მოთხოვნილებანი. ნაცვლად ამისა, ჩინეთის წარმომადგენელთ განუცხადებიათ, თანახმა ვართ, რომ დამნაშავე მინისტრები და პრინცები განსაჯილ და დასჯილ იქმნენ ჩინეთის კანონმდებლობის მიხედვით. 2) ზარალი აღედგინოს მთავრობათ, მარტო საელჩოთა დაქცე-

გის და დაზარალებისათვის. 3) განიხილონ ხელ-ახლად ძველი ტრაქტატები და, თუ საჭირო შეიქმნეს, შესცვალონ იგინი. ასე რომ, ამბობს გაზეთი, მოთხოვნილებაც და თანხმობაც ისეთია, რომ შესაძლოა მრავალი უთანხმოება გმოიწვიოს სახელმწიფოთა შორისო. საფრანგეთის ელჩს პიშონს მაშინვე მეტად მკახე და სასტიკი პასუხი მიეცა. პიშონს ასე უთქვამს: 1) რადგან ჩინეთმა ყარ-ჰყო საერთაშორისო კანონები, დაარღვია რა მათი მოთხოვნილებანი, სრულიად მოულოდნელია მისგან და არცა აქვს უფლება მოითხოვოს, რომ მტრული მოქმედება მოისპოს მოლაპარაკების დაწყებისათანავე. 2) მტრული მოქმედება მხოლოდ მაშინ იქმნება შეწყვეტილი, როცა ტუანის, ჩუუანგის, კანგ-ის და შუნგ-ფუ-სიანგის თავები მოკვეთილ იქმნებიანო. «ტაიმსი» თურმე სიამოვნებით აღნიშნავს, რომ პიშონმა სწორედ ისეთი პასუხი გასცა ლისუნჩანგის ბრიყვულ მოთხოვნილებას, როგორც ეკადრებოდაო. საწყენიაო მხოლოდ, რომ დამნაშავეთა სია ერთობ მოკლეა, მაგრამ მაგის შევსება ადვილიაო. «პიშონის პასუხი სწორედ დაიმსახურა ჩინეთმაო»,—დასძენს «ტაიმსი».

∝ «სტანდარდ»-ის შანჰაელი კორესპონდენტი ამბობს, რომ შანსიში მასულა ერთი ჩინელი მოხელე და განუცხადებია: მართალია ის ხმებიო, რომ ქვრივი დედოფალი პრინც ტუანსა ჰყავს დაჭერილი ხელში და ძლიერ შეშინებულიო. ამ პირის სიტყვით, ვითომც პრინც ტუანს ხელში აქვს სახელმწიფო ბეჭედი იმპერატორისა, და ვითომ სინამდვილესთან ახლოა ის ხმა, რომ პრინცის ვაჟი, პუჩუნი, მომკვდარიყოს და ამიტომ მოეკლას თავი იმის ორ აღმზრდელსაც.

∝ სამხრეთ-ჩინეთში აღელვება მეტად სერიოზულს ხასიათს ღებულობს. «მორნინგ პოსტისა» და «დაილი ექსპრესისას» სიტყვით პეკინის საზოგადოება მეტად შეშინებულია ამ ამბებითაო.

∝ «ტაიმსის» შანჰაელი კორესპონდენტი იცავს აღელვების მოთავეთ, რომელთაც ჩინეთის რეფორმები სწადიათ. ერთად-ერთი მათი დანაშაული,—ამბობს «ტაიმს»-ი,—ის არისო, რომ მოწინავე აზრების მომხრენი არიანო.

∝ გასაოცარი ამბები ხდება ჩინეთში. სწორედ «ათას ერთი ღამის» ზღაპრებს მოგვაგონებს. მაგალითად, შანსიში ამბობენ, თუ «გაზეთ დე ფრანკფორტს» დავუჯერებთ, რომ კანგიმ თავი მოიკლაო, ხოლო «მორნინგ პოსტი» ამბობს», რომ კანგ-ი შანსიშია და ხალხის მოძრაობას ამზადებსო. თუ დავუჯეროთ «გაზეთ დე ფრანკფორტს», რუსები და გერმანელები ჯარს უგზავნიან სინგანგ-ფუში. მაგრამ ამავე გაზეთის სიტყვით, გერმანიის ცხენოსანი ჯარი ტიან-ძინშია, რადგან ცხენები შემოაკლდათო. «ტაიმსი» კი თურმე იტყობინება ტიანძინიდან, რომ გერმანიის ჯარში მრავალი ავადმყოფია უმეტეს ნაწილად კუჭის ავადმყოფობითაო და დღეში ორ-სამ კაცს ჰკლავს ეს ავადმყოფობა. ტიანძინის სასაფლაო გავსილია და ეხლა სხვა ადგილი ამოირჩიეს სასაფლაოდო.

∝ გერმანიის მთავრობას სამსახურიდან დაუთხოვია თავისი წარმომადგენელი ვაშინგტონში ბარონი სტერნბერგი. «ნიუ-იორკ-ჰერალდი» ამბობს, რომ არავინ არა იცის რა, რამ გამოიწვია გერმანიის მთავრობის ეს გარდაწყვეტილება; გერმანიის საელჩოში კაცი ვერას გაიგებს, ისე არიან დამუნჯებულნი ამ შემთხვევის გამო. მაგრამ ბარონ სტერნბერგის წასვლა ყველას სამწუხაროდ მიაჩნიათ.

∝ **აჯანყება სამხრეთ-ჩინეთში.** სამხრეთში საქმეები აიწეწ-დაიწეწა. ეს აღარავისთვის საიდუმლო არ არის. როგორც ჰან-კეუში, ისე ორივე სამხრეთ პროვინციაში კუანგ-ტუნგსა და კუანგ-სიში აღელვება იზრდება. ჰან-კეუს ვიცე-კოროლი ებრძვის ეგრედ წოდებულ რეფორმატორებს, რომელთაც ჰსურთ დამოუკიდებელი სახელმწიფო დააარსონ იანგ-ძეს პროვინციაში. სექტემბრის პირველ რიცხვებში მოისპო პირველი აჯანყება. ეხლა კი შან-ჰაიდან აუწყებენ «მორნინგ-პოსტს»: ჰან-კოუს ვიცე-კოროლი აცხადებს ერთ პროკლამაციაში, რომ რამდენიმე ეგრეთ წოდებულირეფორმატორისიკვდილით დავსაჯეო. მას შემდეგ, რაც სამართალში მივეცი იგინიო, ისინი რეფორმატორები კი არა ბოროტ-მოქმედნი და მავნებელი აჯანყებულნი იყვნენ, რომელთ აზრად ჰქონდათ მანჯუს დინასტიის დამხობა საიდუმლო საზოგადოებათა შემწეობით დ დაეარსებინათ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთში და შუა-გულ ჩინეთში აჯანყებულნი შეადგენდნენ საიდუმლო საზოგადოების ფუ-იუს წევრნი. 70 შეთქმულის გვარი წარუდგინა ელჩებს ჰან-კოუს-ვიცე კოროლმა.

იმავე დროს «ტაიმსს» ატყობინებენ შანჰაიდან: ყველა შეთქმულად მიჩნეულთ, რომელთა დაპატიმრება ითხოვა შანჰაის ტაოტაიმ, დასტოვეს ის ადგილები, რომელნიც უცხოელ სახელმწიფოთა აქვთ დათმობილნი. ხოლო «მორნინგ-პოსტის» პარიზელი კორესპონდენტი ამბობს თურმე, რომ ჰან-კოუში მეტად ცუდი მდგომარეობაა და საფრანგეთის მთავრობისაგან ზომებია მიღებული მზად იყოს ყოველივე შემთხვევისათვისო.

# ახალი ამბავი

✦ დღეს, 29 ოქტომბერს, სამ დაწესებულებას აქვს დანიშნული წევრთა **საზოგადო კრებები:** 1) ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას, საბჭოს სადგომში, დილის 10 საათზე; 2) რუსეთიდან გადმოსახლებულთა დამხმარებელ საზოგადოებას, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, ვაჟთა 1-ლ გიმნაზიის შენობაში და 3) სახალხო კითხვათა და წარმოდგენათა კომისიას, სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე.

✦ სადგურ მაცრაზე მომხდარ **უბედურების** შესახებ დაწერილებით შემდეგს იწერებიან: მატარებელი ლიანდაგიდან იმიტომ გავარდნილა, რომ ლიანდაგს გაუწევია იქით-აქეთ, რადგან ცუდათ გამაგრებული ყოფილა. ორთქლმავალი გვერდზე გადავარდნილა; მას დატაკებია და დამსხვრეულა ბარგის ვაგონი; შემდეგ წაქცეულან საფოსტო ვაგონი და ერთი ვაგონი მე-2 კლასისა; ლიანდაგს გადასცილებია 1 ვაგონი პირველი კლასისა და 2 ვაგონი მესამისა. საბედნიეროდ აქ უფრო ნაკლებ დაზარალებულან, ვიდრე გრაკლის სადგურზე. დაჭრილნი არიან კონდუქტორები კახიძე, ლარიძე და ბაქრაძე და ფოსტის მოხელე ალ. მხეიძე. ადვილად დაშავდნენ აგრეთვე მაშინისტის თანაშემწე და 5 მგზავრი. მატარებელში ყოფილა პროკურორი, რომელსაც ექსპერტებთან ერთად მაშინვე მოუხდენია გამოძიება.

✦ 24 ოქტომბერს სხდომა ჰქონია იმ კომიტეტს, რომელმაც იკისრა ტფილისში **სახალხო კითხვებისა და წარმოდგენებისათვის შენობის აგება.** სხდომაზედ არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალა შემოწირულებათა შეგროვება. ჯერჯერობით ამ საქმისათვის შეუგროვებიათ სულ 12 ათასი მანეთი; სულ კი საჭიროა 60 ათასი მანეთი. შემოწირულებათა შეგროვების გარდა კომიტეტს დაუდგენია—მიჰმართოს თხოვნით ფინანსთა სამინისტროს შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების სადგომის ასაშენებლად ტფილისში შემოწირულებას მიიღებენ შემდეგი პირები: ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ტფილისის გუბერნატორი (გუბერნატორის კანცელარია); კომიტეტის წევრები: კნ. მარიამ მარკოზის ასული თუმანოვისა, ბარიატინსკის ქუჩა, საკუთ. სახლი; ნიკოლოზ ალექსის ძე სახაროვი, მიხაილოვის ქუჩა, პასსაჟ კროშკა, № 9; ნიკოლოოზ ალექსის ძე ხუდადოვი, ნიკოლაევის ქუჩა, № 65; ლევან იაკობის ძე მღებროვი, ერევნის მოედანი, გურგინბეკოვის სახლი; ისაი მარკოზის ძე დოლუხანოვი, განოვის ქუჩა, ფრიდონოვის სახლი; ევგენი პავლეს ძე სოფრონოვი, ამიერ-კავკასიის რკინის გზების კონტროლში და სადგომში, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 99; ალექსი ლევის ძე კოზლოვი, ოლქის სასამართლოს შენობა, ნოტარიალური არქივი; ალექსანდრე ბოლდანის ძე ევანგულოვი, ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობა და გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი; გაზეთების—„კავკაზ“-ისა, „ახალი მიმოხილვი“-სა, „ტფილისის ფურცლისა“, „მშაკ“-ისა, „ივერიისა“, „ცნობის ფურცლისა“ და „კვალი“-ს რედაქციებში.

✦ პოლკოვნიკმა გ. ყორღანოვმა მისცა ტფილისის გამგეობას ქაღალდი, რომელშიაც სწერს, რომ რადგან ქალაქის გამგეობამ არ ისარგებლა თანხმად გარდაცემის პირობასა იმ ადგილით მტკვრის პირას, ვერის ხიდთან, რომელიც მე დავუთმეო, ამისათვის ქალაქი ჰკარგავს ამ ადგილზე უფლებას, და ჩემი სურვილია გარდაეცეს იგი სახალხო თეატრის ასაგებად, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ შენობის გარდა გაშენდესსასეირნო ბაღიცო.

✦ გუშინ, ქალაქის გამგეობამ მიიღო უსახელო საზოგადოების დირექტორის რობისაგან წერილი, რომელშიაც გამგეობას უცხადებს, რომ იგი ვალად აღარა სთვლის ასესხოს ქალაქს 600,000 მან., რადგან გამგეობამ მოითხოვა 500,000 მ. შემოსავლის ანგარიშში. გარდა ამისა, რობის წარუდგენია მარტივი სქემატიური გეგმა ელექტრონის რკინის გზისა—აღუნიშვნელად დაწერილებითი გეგმისა. ამ გეგმის დამტკიცება, თუ გამგეობა აჩქარდა და დაამტკიცა, გამოიწვევს მრავალს უთანხმოებას. ამის შესახებ მოვილაპარაკებთ შემდეგში.

✦ დღეს, 1 საათზე, სახალხო კითხვათა სადგომში გაიმართება **ქართული სახალხო კონცერტი.**

✦ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა ქალაქ **დუშეთის რწმუნებულებად** 1900—1904 წლებისათვის შემდეგი პირნი: სოლ. ზანდუკელი, ივ. ალავერდოვი, მიხ. ტერტეროვი, მიხ. დოფქვიაშვილი, გიორგი კორინთელი, ანდრია გრიგოლო-

ვი, ივ. აბაზოვი, ვას. თუჯიევი, ალ. შადინოვი, ზაქ. თაბორიძე, გაბრ. აპრიამოვი და ალ მარტიროზოვი; მათ კანდიდატებად: ეროფ. ყარანგოზიშვილი, თეიმ. გონიევი, ნიკ. ბარათაშვილი, ისაკ როინაშვილი და ივ. ელიკოვი.

◆ „ნოვოე ობოზრენიე"-ს გაუგია, რომ ტფილისში არსდება **პედაგოგიური საზოგადოება**, რომლის წევრებადაც იქნებიან სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელნი. საზოგადოებას საგნად ექმნება სახალხო კითხვების, სასულიერო კონცერტების და ლექციების გამართვა, აგრეთვე დროგამოშვებით—პედაგოგთა კრებების მოწვევა და პედაგოგიურ კურსების დაარსება.

◆ სათანადო დაწესებულებანი ჰკრებენ ამ ჟამად ცნობებს კავკასიის საქარხნო და სამთო მრეწველობის შესახებ. ზედ-მიწევნით უნდათ გამოიკვლიონ, სახელმწიფოსა თუ კერძო მფლობელთა მამულში გამართული ქარხნები, რამოდენა ადგილი უჭირავთ მათ, რა ღირს ეს ქარხნები, რა შემოსავალს იძლევიან და სხვა.

◆ დღეს, 29 ოქტომბერს, ტფილისში უნდა ჩამოვიდნენ უმთავრესი **ანსპექტორი რკინის გზე**ბისა დ. ს. ს. ინჟენერი მ. ნ. გორჩაკოვი და საგანგებო კომისია; ამათ უნდა ყოველის მხრივ შეისწავლონ ის მიზეზები, თუ რის გამო სწარმოებს ესე ცუდად რკინის გზებზე საქონლის გადაზიდვა და მგზავრთა მიმოსვლა.

◆ რუსეთის ხელოსანთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოება ადგენს ამ ჟამად სანიმუშო წესდებას **ხელოსანთა საურთიერთო დახმარების** საზოგადოებათა და საპენსიო კასსებისას. წესდება შემდეგ წარედგინება განსახილველად სახელოსნო გამგეობას და, ბოლოს, მთავრობას დასამტკიცებლად.

◆ სოფ. აბაშიდან „ნოვ. ობ."-ს სწერენ, რომ იქ დაარსებულა **საქალებო სასწავლებელი**; შესვლის მსურველი იმდენი აღმოჩენილა, რომ კენჭის ყრით ყოფილა მიღება. ახლა განზრახვა აქვთ ქალთათვის სამრევლო სკოლაც გახსნან.

◆ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე **აურჩევიათ საზოგადოების მოხელე პირნი.** საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ. ოტენი.

◆ განზრახვა აქვთ ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია სოფ. **მცხეთაში გადაიტანონ.**

◆ ამას წინად ყუბის ციხიდან რომ ტუსაღები გაიქცნენ, ერთი იმათგანი პოლიციის მოხელეებს **მოუკლავთ დევნის დროს** სოფ. გილარში, დაღესტანში.

◆ 27 ოქტომბერს ტფილისის პოლიცმეისტერს შუამდგომლობა აღუძრავს გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ **დაკეტილ იქმნას გერაზე სამი დუქანი**, რომელნიც სასწავლებლებთან ახლო არიან და რომლებშიაც უწესოება არ ისპობა.

◆ ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისსა და ბაქოში მოელიან ცნობილს პარიზელს მდიდარს **ა. როტშილდს.**

## თეატრი

**სათავად-აზნაურო თეატრი.** 27 ოქტომბერს რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა **„ვაი ჭკუისაგან"**. ამას წინად ჩვენს რეცენზიაში შევეხეთ ამავე კომედიის წარმოდგენას ქართულ დასის მიერ და გავკიცხეთ კიდეც ზოგიერთის ნაკლულევანებისთვის. ჩვენს ქართულ თეატრს მაინცა და მაინც ეპატიება, თუ რუსულს ტიპს, რუსულ ხასიათს ვერ დაუხატავს არტისტი საზოგადოებას; ეპატიება იმიტომაც, რომ ქართველთა შორის ცოტაა არტისტიული ნიჭის პატრონი და მცირე დასით მოუხერხებელია სერიოზული პიესების წარმოდგენა. მაგრამ იგივე არ ეპატიება რუსულ დასს. ჩაცკის როლს თამაშობდა დალსკი. ჩვენის აზრით, ჩაცკიმ პირველ სამ მოქმედებაში სავსებით ვერ გადმოგვცა გრიბოედოვის მიერ დახასიათებული იმ დროის ცხოვრების უწყალო კრიტიკოსი. მეოთხე მოქმედებაში კი უფრო ნიჭიერად დაგვისურათა იმ დროის ცხოვრებისა და ხალხის მოძღურავი. დალსკი მშვენივრად კითხულობდა ლექსს. კარგი იყო ბოროზდინი ფამუსოვის როლში. მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში პირველში მრისხანება ცოტა მეტის გრძნობით დაიწყო, ამისათვის თითქო ერთგვარად გაატარა ეს ადგილი. სოფია პავლოვნას როლი აასრულა შადრინისამ ძალიან სუსტად, უმარილოთ, უგრძნობლად. შადრინისა არა ჰგავნდა სოფიოს ისე, როგორც ნევეროვისა ლიზას. ლიზას როლი მდივანოვის ქალმა უფრო ხელოვნურად ითამაშა. არც რამაზანოვი იყო რიგიანი სკოლოზუბი. იგი სცდილობდა მხოლოდ ყვირილით ლაპარაკს. ზაგორეცკის როლში კრუჩინინს შათირიშვილი სჯობდა; რეპეტილოვის როლშიაც ჩეჩინი ძალიან სუსტი იყო. თითქო გედევანოვი სჯობდა ამ როლშიაც. საზოგადოდ სუსტად ჩაიარა რუსულს სცენაზედ „ვაი ჭკუისაგან"-ის წარმოდგენამ; მთელი წათმოდგენა, თუ შეიძლება ვსთქვათ, დაცალულღებულებმა გაათრიეს მხოლოდ ბოროზდინმა და დალსკიმ.

## სასამართლოს მატიანე

მოპარვა 50,000 მანეთისა.

(გაგრძელება*)

მოწმების ჩვენების ჩამორთმევა გათავდა 26 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე და თავმჯდომარემ საქმის გარჩევა 1/2 საათით შესწყვიტა, რომ ყველა საქმეში მონაწილეთ ცოტა შეესვენათ.

როცა ისევ დაიწყეს საქმის გარჩევა, ყველა მოწმები განთავისუფლებულ იქმნენ.

შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა ორივე მხარის წარმომადგენლებს, რომ მათ დეესახელებინათ ის მოწმები, რომელნიც კანონიერი მიზეზებისა გამო ვერ მოვიდნენ და რომელთ ჩვენებაც იმათ საყურადღებოდ მიაჩნიათ.

წაკითხულ იქმნა ჩვენებანი, რომელთაგან ყურადღების ღირსია ჩვენება ნიკ. ორჯონიკიძის ვაჟიშვილის აწ გარდაცვალებულ გრიგორისა: „მამიჩემის შეძლების შესახებ, მე ბევრი არა ვიცი-რა, — უჩვენებია ამ მოწამეს გამომძიებლისათვის. მოპარვის შემდეგ მამაჩემმა გამგზავნა კონდრატიევის ცოლთან, რომელიც წინად ჩვენთან ცხოვრობდა და მამაჩემს საყვარლადა ჰყვანდა. ამ ქალს ყუთი უნდა მოეცა ჩემთვის. მე გამომყვა ლიდა გერჟეცი, რომელიც იმ დროს ჩვენთან ცხოვრობდა. კონდრატიევის ცოლმა ჯერ ბარათი ჩამომართვა და ყუთი მხოლოდ იმის შემდეგ ჩამაბარა. რა იყო იმ ყუთში, მე არ ვიცოდი და შინ რომ მივიტანე, განჯინაში ჩავდე. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ვსინჯავდი მამიჩემის წერილებს, რომლებსაც მას სხვა-დასხვა ქალები სწერდნენ, გავაღე კამოდის ზემო უჯრა და იქ ფულები დავინახე, იქიდან 1000 მან. ამოეიღე და გავფლანგე ქეიფში". მოწამეს შეუნიშნავს, რომ მამა მისი ნიკ. ორჯონიკიძე ღამღამობით ქეიფობდა ნაირ-ნაირ ქალებთან და დიდ ფულებს ხარჯავდა.

პარასკევს სასამართლოს სხდომა დაიწყო დილის 10 საათზე. თავმჯდომარეს წინადადებით ბრალდებულის ამხანაგი და ბრალდებულთა ვექილებმა შეუდგნენ სიტყვების წარმოთქმას. ბრალმდებლის ამხანაგმა ილაპარაკა 2 საათი და იმ სიტყვაში უთავრესი ყურადღება მიაქცია მოწმის გერჟეცის ჩვენებას და თვით ბრალდებულის ნიკოლოზ ორჯონიკიძის გამოტეხას და დაამთავრა სიტყვა, რომ დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი ხუთივე ბრალდებულნი და დაისაჯნენ თანახმად საბრალმდებლო ოქმისა, რადგანაც სასამართლოს საქმის გამოძიებამ ოდნავაც ვერ შეარყია ის საბუთები, რომელიც ბრალდებულთა დამნაშავების შესახებ არის მოყვანილიო. თავმჯდომარეს მხარი დაუჭირა სამოქალაქო მომჩივნის ხაზინის წარმომადგენელმა და ითხოვა გადახდეთ ბრალდებულთ ხაზინის სასარგებლოდ 50,000 მ. სარგებლით 1897 წლის 8 აგვისტოდან.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ცნობ. ფურც" № 1281.

## საღამოს დეპეშები

28 ოქტომბერი

**ბერლინი.** ვალდერზეე იტყობინება, რომ დაიწყო მატარებლების მიმოსვლა შანჰაიგუანის და ტონ კაკსოუნის შუა, დეკემბრის ნახევრამდე რკინის გზა გაკეთებულ იქმნება ტონკუმდე.

ნორმანის რაზმი 24 ოქტომბერს დაბრუნდა გარლონში: მან იარაღი აჰყარა და გაჰფანტა გუან-სინთან ჩინელთა ჯარის ოთხი ბატალიონი.

**ლონდონი.** სოლსბერი პასუხად სამინისტროს სიტყვისა, სიხარულს აცხადებს აფრიკაში ინგლისის ჯარების გამარჯვების გამო, მწუხარებით იხსენიებს ომში მოკლულთ, დაჭრილთ და ავადმყოფთ, განსაკუთრებით მოიგონებს პრინც ხრისტიან-ვიქტორს. სოლსბერი ექომაგება სამხედრო სამინისტროს, რომელმაც 300,000 კაცი გაგზავნა 6000 მილის სიშორეზე; მთავრობა მზად არის გაასწოროს სამინისტროს შეცდომანი. ომის გამო ინგლისის ახალშენების მნიშვნელობა გადიდდა ევროპიელების თვალში. სოლსბერიმ კმაყოფილებით მოიხსენია მეგობრული განწყობილება ინგლისსა და ამერიკის შუა და სიამოვნება გამოაცხადა მაკ-კინლეის ხელ - ახლად არჩევის გამო. შეეხო რა ჩინეთის საქმეებს, სოლსბერიმ სთქვა, რომ მას არ შეუძლიან ჯეროვანის თავისუფლებით გამოსთქვას აზრი, რადგანაც ინგლისი შეადგენს მხოლოდ ნაწილს მოკავშირე სახელმწიფოთა ერთის ჯგუფისას. შეთანხმების ერთი უმთავრესი მუხ-

ლია — ევროპიელ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის დაცვა, მეორე ჩინეთის საკითხის გარდაწყვეტის გადადება. სალისბიური ჰფიქრობს, რომ ინგლისისა და გერმანიის შეთანხმება სრული გამომხატველია უმეტეს მოკავშირე სახელმწიფოთა სურვილისა; ამ შეთანხმებას ორი საყურადღებო მიზანი აქვს: ჩინეთის დამოუკიდებლობის დაცვა და თავისუფალ ვაჭრობის წარმოება. სალისბერი სიხარულით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა მიიღეს ეს პირობები. ამის გამო საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩინეთის საქმეები ცუდად წავლენ, საჭიროა მხოლოდ თვალ-ყური ვადევნოთ ჩინეთს, დავეხმაროთ მას წესიერების აღდგენის საქმეში და მოვიმხროთ სხვა სახელმწიფოები იმ აზრთან საბრძოლველად, ვითომ დრო მოსულიყვეს ჩინეთის განაწილებისა. ბოლოს სოლსბერი ლაპარაკობს ინგლისის დასაცველ საშუალებათა შესახებ და საჭიროდ სთვლის ინგლისი არ იქმნას შეფერხებული მშვიდობიანობისა და სოციალურ რეფორმების საქმეში.

**პეტერბურგის ბირჟა 27 ოქტომბ.**

| | მყიდველები | გამყიდველები | გაყიდული |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ა | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა.... | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $99^1/_4$ | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.. | — | $96^7/_8$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $337^1/_4$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 285 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა..... | — | — | 216 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა.. | 87 | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | $94^1/_2$ | — |
| $4^1/_2$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა.... | — | $86^1/_2$ | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ.... | — | $101^1/_2$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ... | — | — | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.... | — | — | 85 |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## ნ ი ხ რ ი

| | |
|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. $8^1/_2$ კ. |
| სუკი . . . . . | » — 15 კ. |
| » ცხვრისა . . . | » — $8^1/_2$ კ. |
| » ღორისა . . . | 1 — 8 კ. |
| » კამეჩისა » » | » — 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » — 10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | |
|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. |
| » » | II » | » » | $3^1/_2$ » |
| » » | III » | » » | 3 » |
| იგივე თორნის | I » | » » | 5 » |
| » » | II » | » » | 4 » |
| » » | III » | » » | $3^1/_2$ » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I » | » » | 6 » |
| » » | II » | » » | 4 » |

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოგზალზე: |
|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. კ. | მ. კ., |
| | 1 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. .. | 1 1 15 | კაპ. |
| ქერი . . . . . | 1—მ.—70 | კ. |
| სიმინდი . . . . . | 1— 65 | —— |
| ფქვილი სოფლისა.. | 1 1 —20 | — |
| » უფროს მდარე. | 1 1 51 | —10 |
| კომბოსტო. . . . | 1 — 50 | —— |
| კარტოფილი.. . . | 1 — 55 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 — 30 | —— |
| თივა . . . . . | 1 — 25 | —— |
| ბზე. . . . . . | 1 — 23 | —— |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი მუსაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხ. | | ხარისხ. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ. | |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » | |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » | |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 54 კ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 90 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაურეცხ. 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% მაგ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., გარეცხილი— მ. 8 მ. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლების

(ფრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ბუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის**, უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ-ს ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი ბულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი პელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

**დაიბეჭდა და იყიდება** წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **ზ. არაგვისპირელის**

## პირველი წიგნი

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

**ისტორიული ნარკვევი**

**ქრისტიანობის საქართველოში ისტორიისათვის**

ა ნ უ

შედგენილი

მოწოდებულია ქართულ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებისათვის

სამრევლო სასწავლებლის მასწავლებლებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

გამომც. გ. ჭუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Октября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბა. განქის დიდი ქუჩა, № 27.